„ბსუ-ს დოქტორანტურის
დებულების“ ფორმა №1

განაცხადი

სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:--**ისტორია**

1. ინფორმაცია სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ

1.1. სახელი და გვარი - **ოთარ გოგოლიშვილი**
1.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება - **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი**
1.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

	სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ე მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამეცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნ
1.	უცხოელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ	2025	History, Arxeology, Ethnology, XIII	ISSN:2449-285X	ERIX PLUS		
2	Ajara in the Period of Augu 1924	2025	სასქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი ,,მოამბე'', ტ. 19 (193), № 1, გვ. 150-155	ISSN -0132-1447	Scopus		
3.	ბათუმის ოლქ უმძიმეს 1920-1921 წლებში (ინგლისურ ენაზე)	2024	History, Arxeology, Ethnology, XI	ISSN:2449-285X	ERIX PLUS		

1.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

სამეცნიერო პროექტის სახელწოდება	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი	სტატუსი პროექტში	დამფინანსებე ლ ორგანიზაცია	ელექტრო ნული მისამართ ი	პროექტში ჩართული პირები	შენიშ

ლაო ჯონ ჯაოს მოღვაწეობა საქართველოში (თარგმანი ჩინურ ენაზე)	2020.01-2020.09	ძირითადი შემსრულებელი	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი		ემზარ მაკარაძე, დავით ანდღულაძე	
ლიოუ ყანდარელ კუანგვენის ღვაწლი ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებში	2021.01 2021 .09	ძირითადი შემსრულებელი	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი		ემზარ მაკარაძე, დავით ანდღულაძე	
მაჭახლის ხეობა	2023. 03	ძირითადი შემსრულებელი	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი		ზურაბ ნარგერვაძე, გიორგი ბაციკაძე, ნათ თავდგირიძე, მარიამ ურუშ	
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უსაფრთხოებისსამსახურები (1918-1921)	2024.03	ხელმძღვანელი	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი		გიორგი ბაციკაძე, ლოლა სარალიძე, არჩილ ვარშალომიძე	

1.5. სამეცნიერო ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება N

	უსდ-ს დასახელება	სადოქტორო საგანმანათლ ლო პროგრამ დასახელება	სტუდენტის სახელი და გვარი	ნაშრომის სახელწოდება	წელი	შენიშვნა
	ბათუმის შო რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ისტორია	გიორგი ბაციკაძე	ქართული საზოგადოებრივ პოლიტიკური აზროვნების განვითარება (190 1921 წ.წ.)	26. XII-2025.	

1.6. რელევანტური ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა.

	ღონისძიების ტიპი	ღონისძიების დასახელება	ორგანიზატორი	ჩატარების თარიღი	ჩატარების ადგილი	შენიშვნა
	ტრენინგი	,,სასწავლო პროცესების მართვა	თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმიფო უნივერსიტეტი	2019.23-24 მაისი	ბათუმი	
	ტრენინგი	ინტერაქტიური ლექცია-სემინარი: სწავლების აქტიური მეთოდები	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2025. 8=9 დეკემბერი		
	ტრენინგი	ტრენინგი გუნდურობის შესახებ	თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2025. 3 აგვისტო		

1.7. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან სამეცნიერო თანამშრომლობის გამოცდილება (ერთობლივი კვლევები/გრანტები/სამეცნიერო პროექტები)

_____
_____
_____

2. ინფორმაცია სამეცნიერო თანახელმძღვანელის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)

2.1. სახელი და გვარი ----------
2.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება ----------
2.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

	სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდ ელ. მისამარ	დიგიტალური საიდენტიფიკაცი კოდი DOI ან ISS	სამცნიერო ბაზის დასახელებ	თანაავტორ	შენიშვნ

2.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

სამეცნიერო პროექტის სახელწოდება	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი	სტატუსი პროექტში	დამფინანსებელი ორგანიზაცია	ელექტრონული მისამართი	პროექტში ჩართული პირები	შენიშვნა

3. სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა
3.1. კვლევითი პროექტის დასახელება - **საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მდგომარეობა აჭარაში 1921-1930 წლებში**
3.2. კვლევის სიახლე და აქტუალურობა - **,,საზოგადოებრივ-პოლიოტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარებაზე აჭარაში 1921-1930 წლებში" საკმაო ნაშრომები გამოქვეყნდა, მაგრამ მათი უმრავლესობა დაწერილია კომუნისტური რეჟიმის დროს და მრავალ შემთხვევაში ჭეშმარიტება დამახინჯებულია. მკითხველი ახალი ნაშრომების გამოქვეყნების მოლოდინშია, რომლებშიც ობიექტურად, კონიუნქტურის გამოვლენის გარეშე გაშუქდება ამ პერიოდის ისტორია, დადგინდა ჭეშმარიტება. ახლებური აზროვნებით დაწერილ**

ნაშრომებს არა მარტო ისტორიულ-შემეცნებითი, არამედ პრაქტიკულ-გამოყენებითი ღირსებაც ექნება. სწორედ ეს იყო მთავარი მიზანი, როდესაც 1921-1930 წლების ისტორიის შესწავლა დავიწყეთ. ეჭვს არ უნდა იწვევდეს თემის აქტუალურობა.

საბჭოთა ეპოქის 1921-1930 წლების აჭარის ისტორია უაღრესად რთული,წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ამ წლებში მიმდინარეობდა შეურიგებელი ბრძოლა პრორუსულ, თურქოფილურ და ქართულ ეროვნულ ძალებს შორის. საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერით და უშუალო ჩარევით პრორუსულმა ძალებმა გაიმარჯვეს. აჭარა, როგორც მთლიანი საქართველო, რუსეთის კომუნისტური იმპერიის ნაწილად იქცა. მონოგრაფიაში შესწავლილია პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები აჭარაში. ეს ორი საკითხი ლოგიკურად მჭიდროდაა გადანასკეული ერთმანეთთან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე იწყება სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, რის შედეგად შეიქმნა „სოციალისტური“ წყობის საფუძვლები. იგი მიმდინარეობდ ლენინურ-ბოლშევიკური კონცეფციითა და პროგრამით ექსპერიმენტების დონეზე. ეს ექსპერიმენტები საზოგადოებისათვის მტკივნეული აღმოჩნდა, რადგან ისინი განხორციელდა კატაკლიზმების, სოციალური დაპირისპირების, სხვაგვარად მოაზროვნეთა გაუტანლობის, მათ წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის პირობებში.

არსებითი ხასიათის სოციაურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნები XX საუკუნის 20-30-იან წლებში განხორციელდა. ნაშრომში შესწავლილია საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაცია აჭარაში, ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა, განხილულია რევკომის, მეჯლისის, ღარიბთ კომიტეტების, საბჭოების ფორმირების, შემადგენლობის, უფლებამოსილების, საქმიანობის ძირითადი საკითხები. ხაზგასმულია იმ თავისებურებათა შესახებ, რომელიც ამ კუთხისათვის იყო დამახასიათებელი. ერთ-ერთი ასეთი თავისებურება იყო ორხელისუფლიანობა. მეორე თავისებურება იყო აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა. სსრ კავშირის პოლიტიკურ სივრცეში აჭარა, ნახჭევანთან ერთად (აზერბაიჯანი), იყო ერთადერთი ავტონომიური რესპუბლიკა, რომლის შექმნას საფუძვლად არ დასდებია ეროვნული ნიშანი.

ნაშრომის მეორე ნაწილში, სადაც ეკონომიკური გარდაქმნებია განხილული, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაციას, სამრეწველო-ეკონომიკურ და აგრარულ რეფორმებს. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ წარმოების საშუალებათა ყოვლისმომცველი ნაციონალიზაციის შედეგად მოხდა კერძო საკუთრების ლიკვიდაცია, მრავალწყობიანი ეკონომიკა შეიცვალა ერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური წყობით. იგი ფაქტობრივად სახემწიფო კაპიტალიზმის შინაარსს ატარებდა. ოფიციალურად კი შერაცხული იყო სოციალისტური საკუთრებისა და ეკონომიკური წყობის სახელით. მონოგრაფიაში გაანალიზებულია ამ გარდაქმნის მეთოდები, მიმართულებები, ნაჩვენებია მათი შედეგები. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ეკონომიკაში მრავალწყობიანობის ლიკვიდაციის, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობის, ბუნებრივი კონკურენციის იგნორირების პირობებში წარმოებისგანვითარებას ფართო სარბიელი არ ეძლეოდა. ასეთ დროს გარდაუვალი იყო სახალხო მეურნეობის მართვის მბრძანებლურ- ადმინისტრაციული და პოლიციური

მეთოდების გამოყენება, უმკაცრესი ცენტრალიზმის დამყარება. ცხადია, ეს იყო სახალხო მეურნეობის მართვის არაბუნებრივი გზა, რომელსაც პერსპექტივა არ გააჩნია.

ასევე, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კულტურულ-საგანმანათლებლო მდგომარეობას, რადგან იმ პერიოდში ამ მიმართულებით საყურადღებო საქმიანობა მიმდინარეობდა, ახალ საარქივო მასალებზე დაყრდნობით წარმოჩენილია ის წარმატებები, რომელიც იმ პერიოდში ამ მიმართულებით წარმოებდა. ასევე საუბარია ხელშემშლელ ვითარებაზე და ბრძოლაზე მის წინააღმდეგ.

3.3. კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია - საკვლევი თემის მიზანი მდგომარეობს ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ობიექტური რეალობის დადგენაში. მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებშირეგიონში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ სირთულეებს, რომლის სათავე გასულ ათწლეულში უნდა ვეძებოთ. მაგალითისათვის შეიძლება აღინიშნოს ხულოს მაზრის მარტის 1929 ნწლის აჯანყება. ეს ვითარება იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ მომდევნო ოცდაათიან წლებშიც კი იგრძნობოდა მისი გავლენა აჭარის ყველა რაიონზე. საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა რეგიონში შექმნილ ვითარებას და ცდილობდა არ გამოპარვოდა არცერთი უმნიშვნელო დეტალიც კი.

4.4 სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა

4.5 სამეცნიერო თანახელმძღვანელის ხელმოწერა

თარიღი